"უვადოდ დანიშნულ მოსამართლეს სტაბილურობის უფრო მეტი განცდა აქვს"

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასამართლოს - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მალხაზ გურული აცხადებს, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საკმაოდ წარმატებულად იმუშავა, წინა წელთან შედარებით გაცილებით მეტი საქმე განიხილა და საზოგადოების ნდობაც უფრო მეტად მოიპოვა.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმიანობის, მიმდინარე რეფორმისა და მოსალოდნელი სიახლეების შესახებ გთავაზობთ ინტერვიუს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მალხაზ გურულთან.

- ბატონო მალხაზ, ქუთაისის სააპელაციო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სასამართლოა, ემსახურებით დასავლეთ საქართველოს, ამიტომაც, საინტერესოა, თქვენი ანალიზი, როგორ შეაფასებდით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მუშაობას?

- სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო საკმაოდ პროდუქტიულად მუშაობს და წინა წელთან შედარებით უფრო მეტი საქმე დაამთავრა, ამის დასტურია სტატისტიკა.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს შემოღებული იქნა სასამართლო გადაწყვეტილების ახალი ფორმები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლის მეშვეობითაც, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები უფრო დაიხვეწა და მოქალაქეებისათვის ადვილად აღსაქმელი გახდა.

სასამართლოში მოეწყო ვიდეოკონფერენციის და საპრეზენტაციო დარბაზები, რომლის მეშვეობითაც, სასამართლო პროცესზე აღარ იქნება საჭირო რეგიონებიდან მოწმეების ჩამოყვანა და ისინი დაიკითხებიან სასამართლოში თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

- ბატონო მალხაზ, გარდა იმისა, რომ ხართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, ეწევით თუ არა იმავდროულად სამოსამართლეო საქმიანობასაც?

- კანონმდებლობით, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეებზე შეტანილ სააპელაციო საჩივრებს და ასეთ საქმეებს მეც განვიხილავ.

- როგორც მოსამართლეს თვეში რამდენი საქმის განხილვა გიწევთ?

- თვეში დაახლოებით 20-25 ადმინისტრაციული საქმის განხილვა მიწევს.

- ადმინისტრაციული მართლმსაჯულება საქართველოში 10 წელია რაც მოქმედებს, შეიძლება თქმა, რომ ის მაინც ახალი რგოლია მართლმსაჯულებისთვის, როგორ შეაფასებდით თქვენი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის საქმიანობას? მით უმეტეს, რომ ადმინისტრაციული დავისას ერთმანეთის პირისპირ დგას მოქალაქე და სახელმწიფო სჯარო სამსახურის სახით. როგორი მაჩვენებელი აქვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს - გადაწყვეტილებების რამდენი პროცენტია მოქალაქეების სასარგებლოდ გამოტანილი?

- პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ადმინისტრაციული სამართალწარმოების მხრივ, საქართველო ლიდერია და ეს ნათლად დადასტურდა ცოტა ხნის წინათ კიევში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები თავიანთ მოხსენებებში ხაზგასმით საუბრობდნენ იმ წარმატებების შესახებ, რომელსაც საქართველომ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მხრივ ამ 10 წლის მანძილზე მიაღწია.

რაც შეეხება მოქალაქეთა სასარგებლოდ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, არსებული მონაცემებით, გადაწყვეტილებების 60 პროცენტი მათ სასარგებლოდ გამოდის.

- ასეთი დაძაბული სამოსამართლეო გრაფიკის პარალელურად არ გიჭირთ თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება?

- ამას გარდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრიც ვარ და ხშირად მიწევს ხოლმე თბილისში წასვლა საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ყველაფერს ვასწრებ. დროის შესაბამისად განაწილებას ვახერხებ.

- როგორი მენეჯერი ხართ? უფრო - მკაცრი?

- ეს, ალბათ, თანამშრომლებს უნდა ჰკითხოთ. თვითშეფასება ყოველთვის ძნელია. როცა საჭიროა, ალბათ, მკაცრი ვარ, იქიდან გამომდინარე, თუ რა დონეზე სჭირდება ეს სიმკაცრე იმ მომენტში საქმის გადაწყვეტას.

- თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ახასიათებდეს მოსამართლეს?

- პირველ რიგში, მოსამართლე უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ობიექტური, კეთილსინდისიერი, პატიოსანი. სასამართლოს გარეთაც უნდა იცავდეს ეთიკის კოდექსს, რომელიც ჩვენ გვაქვს და საზოგადოებაში მისი ქცევა ზომიერი უნდა იყოს.

- თქვენ აკმაყოფილებთ ამ კრიტერიუმებს?

- ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ. სასამართლო რეფორმის მიღწევად ჩაითვლება ის, თუკი ჩვენ შეგვეძლება ვთქვათ, რომ სასამართლო არის დამოუკიდებელი.

- რა აზრის ხართ სიახლეზე - საკონსტიტუციო ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეები უვადოდ უნდა დაინიშნონ?

- ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილება და სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური ნაბიჯი. უვადოდ დანიშნულ მოსამართლეს სტაბილურობის და დამოუკიდებლობის უფრო მეტი განცდა აქვს.

- სასამართლო რეფორმის რამდენიმეწლიანი გეგმა არსებობს, საინტერესოა, რეფორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში როგორ მიმდინარეობს, რეფორმის რომელ ეტაპზე ხართ ახლა და რა სიახლეებს გეგმავთ?

- საქართველოში სასამართლო რეფორმა წარმატებულად მიმდინარეობს. ამის თქმის საშუალებას მაძლევს სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, სასამართლოს მომხმარებელთა ნდობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

რაც შეეხება სიახლეებს, 2011 წელს ვგეგმავთ ავამოქმედოთ საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასამართლოში წარმოებული მისი საქმის შესახებ.

- თქვენ თქვით, რომ მოსამართლე უნდა იყოს ობიექტური, მაგრამ მოსამართლეც ადამიანია და შეიძლება მოხდეს, რომ სუბიექტივიზმმა სძლიოს ობიექტურობას. როგორ შეიძლება მოახერხოს მოსამართლემ ამ დილემისგან თავის დაღწევა?

- არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ჩვენი საპროცესო კანონმდებლობა, განსაკუთრებით სისხლის სამართლის, არის დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული, ანუ მოსამართლე არის არბიტრის როლში: მხარეები თვითონ წარმოადგენენ მტკიცებულებებს და შემდეგ მოსამართლე ახდენს ამის შეფასებას, ამიტომ გარკვეულწილად მხარეებზეც არის დამოკიდებული, თუ რამდენად წარმოაჩენენ ისინი თავიანთ უდანაშაულობას, ან ბრალდებას, რომ სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილება გამოიტანოს.

- სასამართლოს საქმიანობის მაჩვენებელი მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხია, როგორ ფიქრობთ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია აკმაყოფილებს თანამედროვე სასამართლოს სტანდარტებს?

- გეთანხმებით, რომ სასამართლოს საქმიანობის მაჩვენებელი მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხარისხზეა დამოკიდებული. გადაწყვეტილებების ხარისხს კი განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ხშირად ხდება მათი შეცვლა ზემდგომ ინსტანციის მიერ. ჩვენი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, საკასაციო წესით გასაჩივრებული საქმეების უმეტესობა ძალაში რჩება, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

- თუმცა, მთავარი შემფასებელი მაინც საზოგადოებაა, როგორ ფიქრობთ, გაიზარდა თუ არა საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ?

- ყველაზე ობიექტური შემფასებელი ჩვენი საქმიანობისა არიან ის მოქალაქეები, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდათ სასამართლოსთან და 2010 და 2011 წელს სხვადასხვა საერთაშორისო კვლევითი კომპანიების მიერ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა ძალზე გაზრდილია.

- თქვენ, როგორც მოსამართლე, თუ წასულხართ პროკურატურის წინააღმდეგ და თუ გამოგიტანიათ განსასჯელის მიმართ გამამართლებელი განაჩენი?

- მახსოვს, ჩემი პირველი პროცესი, ეს იყო არასრულწლოვანის საქმე: პატიმარი გახლდათ, რომელსაც არ ჰყავდა მშობლები და დადებითი დახასიათება ჰქონდა. ეს პატიმარი დარბაზიდან გავათავისუფლე და პირობითი მსჯავრი შევუფარდე.

- დავუბრუნდეთ ისევ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. რა დადებითი ძვრები მოხდა აქ რეფორმის შემდეგ და რა ტიპის პრობლემები დარჩა ან წარმოიშვა?

- 2005 წლის 1 ნოემბერს განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც ჩამოყალიბდა საქართველოში წმინდა სააპელაციო წესით განხილვების სასამართლო. თუკი მანამდე საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციითაც განიხილავდნენ საქმეებს, ახლა ეს აღარ ხდება. სააპელაციო იხილავს მხოლოდ მეორე ინსტანციით, ანუ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაზე შემოსულ საჩივრებს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მთლიანად დასავლეთ საქართველოზე. აქ მუშაობს: ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, სამოქალაქო საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა და საგამოძიებო კოლეგია. პალატები, სამი მოსამართლის შემადგენლობით, იხილავენ საჩივრებს, ხოლო საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე - ერთპიროვნულად, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამ ცვლილებამ, რა თქმა უნდა, ძალიან შეუწყო ხელი სწრაფ მართლმსაჯულებას. ამას გარდა, რეფორმის შედეგად მოიხსნა ტექნიკური პრობლემები და სამუშაო პირობები მართლაც იდეალურია.

- ანუ პრობლემები აღარ არსებობს? მაგალითად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს ყოველთვიურად ძალიან ბევრი საქმის განხილვა უწევთ, ეს არ მოქმედებს განხილული საქმის ხარისხზე?

- მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეებში თითოეულ მოსამართლეს თვეში უწევს საშუალოდ 20-25 საქმის განხილვა, პალატას კი - სამჯერ მეტის. მაგრამ ეს არ არის მძიმე დატვირთვა, ეს მოსამართლის საქმიანობის ჩვეულებრივი რიტმია.

რა თქმა უნდა, არსებობს საქმეების განხილვის ვადები, რომელიც ჩვენთან თითქმის არ ირღვევა. სისხლის საქმეზე ეს ვადა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაირღვეს, თუკი პროცესი ფაქტობრივად, დასრულებულია და მხარე აყენებს შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმებაზე პროკურატურასთან და მოსამართლეც აძლევს ამის საშულებას, ან თუ საქმე ექსპერტიზაზე წავიდა.

- როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ შეიცვალოს ნეგატიური საზოგადოებრივი დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ?

- არსებული სტატისტიკა საზოგადოებაში არსებულ სხვა დამოკიდებულებაზე მეტყველებს - მოსამხლეობის 68-70 პროცენტი უკვე აცხადებს, რომ ენდობა სასამართლოს. მართალია არის უკამყოფილო ადამიანთა ჯგუფი, მაგრამ ცოტანი და თანაც, აღსანიშნავია, რომ ჩვენ ისევ ვაგრძელებთ აქტიურ მუშაობას არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, რათა მაქსიმალურად ბევრი ადამიანი იყოს ობიექტურად კმაყოფილი, როგორც სასამართლოს მომსახურებით, ასევე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით.

სასამართლოს ქრონიკა
25 ივლისი, 2011 წელი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შენობა ქალაქის ცენტრალური ბულვარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში მდებარეობს. ინფორმაცია შენობის ისტორიის შესახებ მოცემულია ცნობილი მოგზაურის დიუბუა დე მონპერეს მიერ 1833 წელს შედგენილ ქუთაისის გეგმაზე. დღევანდელი ნიუპორტის ქუჩის დასასრულს, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარე შენობაში მე-19 საუკუნის 30-იან წლებში იმერეთის მმართველობა ყოფილა განთავსებული. იმ პერიოდიდან მოყოლებული შენობამ რამდენჯერმე შეიცვალა სახელი და ფუნქციური დატვირთვა. ამ ადგილას საგუბერნიო სასამართლოს სახელმწიფო სასახლის აშენებაზე დისკუსია კი 90-იანი წლებიდან დაიწყო. საბოლოოდ, ქალაქის საბჭოსა და გამგეობის დადგენილების თანახმად, ეს ტერიტორია სასამართლო უწყებას 20 ათას მანეთად გადაეცა. ღირებულების ერთი ნაწილი სასამართლო უწყებამ, მეორე კი - ამ საკითხით დაინტერესებულმა ქუთაისის მოქალაქეებმა გადაიხადეს.

1921 წელს, საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ სასამართლო ხელისუფლებამ შენობა დაკარგა. მასში სხვადასხვა დროს განთავსებული იყო პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი და ქარხანა, ზუსტ ხელსაწყოთა საკონსტრუქტორო ბიურო და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საფონდო განყოფილება, რამაც სასამართლოს შენობას პირვანდელი იერსახე დაუკარგა.

1995 წელს სასამართლო ხელისუფლებამ შენობა კვლავ დაიბრუნა. 1999 წლიდან შენობაში ქუთაისის საოლქო სასამართლო განთავსდა, სადაც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მნიშვნელოვანი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა. 2005 წელს სასამართლო სისტემის რეფორმის ფარგლებში, საოლქო სასამართლოს ლიკვიდაციის შემდეგ შენობაში სააპელაციო სასამართლო განთავსდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შენობა იმთავითვე სასამართლოსთვის იყო გათვალისწინებული. 1898-1900 წლებში არქიტექტორ ალექსანდრე შიმკევიჩის პროექტით ქვის სამსართულიანი კაპიტალური შენობა აიგო. იგი ქალაქის მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. შენობა თეთრი ეკლარის ქვით არის მოპირკეთებული და ადმინისტრაციული ნაგებობისათვის დამახასიათებელი მონუმენტურობით და აკადემიურობით გამოირჩევა.

ამჟამად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პირველ სართულზე მდებარეობს მოქალაქეთა მისაღები. აქვე განთავსებულია საინფორმაციო კუთხე, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ გაეცნონ მიმდინარე პროცესების შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სააპელაციო საჩივრის ფორმის ნიმუშებს და მიიღონ საინფორმაციო ბუკლეტები. მეორე და მესამე სართულებზე მოთავსებულია სააპელაციო სასამართლოს თანამშრომელთა სამუშაო კაბინეტები და სასამართლო სხდომის დარბაზები.

მესამე სართულზე დგას სკულპტორ გია ჯაფარიძის მიერ შექმნილი ქანდაკება "წონასწორობა", რაც სიმბოლურად მიუთითებს სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით დავის გადაწყვეტაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განიხილება საჩივრები დასავლეთ საქართველოს სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნა: აბაშის, ამბროლაურის, ბაღდათის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირეტყვარჩელის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლენტეხის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ტყიბულის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ხელვაჩაურის, ხობისა და ხონის რაიონული, ბათუმის, ფოთის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები.

სააპელაციო სასამართლოში მოქმედებს სამოქალაქო საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა და საგამოძიებო კოლეგია.

პალატა წარმოადგენს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, რომელიც სამი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს, კერძო საჩივრებს და საჩივრებს დასავლეთ საქართველოში მდებარე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე (განაჩენებზე, განჩინებებზე). პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საკასაციო ან კერძო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პალატებში წელიწადში საშუალოდ იხილება 1190 სისხლის სამართლის საქმე, 1050 სამოქალაქო საქმე, 1250 ადმინისტრაციული საქმე და 270 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

UNDP Georgia